

# ჩვენი საქართველო

VI კლასი

მასწავლებლის წიგნი

DON'T COPY



## სარჩევი

საგნის სწავლების მიზანი, მიზნების, სტანდარტის შედეგების მიღწევისა და შინაარსის ურთიერთკავშირის მატრიცა.....	5
მასწავლებლის წიგნის მიმოხილვა (მისი არსი, დანიშნულება).....	6
სპეციფიკური და ზოგადი გამჭოლი კომპეტენციები, რომლებზეც ამ კონკრეტული საგნის სწავლების პროცესში ყურადღება უნდა გამახვილდეს.....	8
სწავლების ძირითადი მეთოდები და სტრატეგიები, რომელთაც ეყრდნობა სახელმძღვანელო .....	10
რეკომენდაციები სასწავლო საგანმანათლებლო რესურსების გამოყენებისათვის.....	12
მოსწავლის შეფასების სახეები, პრინციპები და მექანიზმები.....	13
ყველაზე მნიშვნელოვანი აქტივობების, ღონისძიებების, პროექტების, ჩატარებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები.....	17
აგების პრინციპი.....	18
თემები და შესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამის სტანდარტთან .....	20
აქტივობები და შესაბამისი რესურსები, გაკვეთილის ორგანიზების ფორმები.....	24
გაკვეთილების სცენარები.....	25

DON'T COPY

## საგნის სწავლების მიზანი, მიზნების, სტანდარტის შედეგების მიღწევისა და შინაარსის ურთიერთკავშირის მატრიცა;

საგან ჩვენი „ჩვენი საქართველოს“ მიზანია მოსწავლეს მისი ასაკის შესაბამისად მისცეს ცოდნა საქართველოს ისტორიის შესახებ, მიანოდოს საბაზო ინფორმაცია საქართველოს რეგიონების ზოგად გეოგრაფიულ მახასიათებლებზე და ამავდროულად შეუქმნას წარმოდგენა იქ არსებულ მდგომარეობასა და ყოველი კუთხის ძირითად ეთნოგრაფიულ თავისებურებებზე. „ჩვენი საქართველოს“ მიზანია ინტეგრირებული სწავლების მეთოდის პრაქტიკაში განხორციელების გზით, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას ცოდნის მიღების კვალდაკვალ, მოსწავლეს გაუღვივოს ცნობისმოყვარეობა საქართველოს ისტორიის, კულტურისა და რეგიონული მრავალფეროვნების მიმართ. ამავდროულად მოსწავლე მკაფიოდ დაუკავშირებს ისტორიას, კულტურასა და გეოგრაფიას ერთმანეთს და აღიქვამს მათ, როგორც ერთი მთლიანობის შემადგენელ ნაწილებს. სწავლების ამ მეთოდის პრაქტიკაში განხორციელების შედეგად მოსწავლეს გაუჩნდება სამშობლოს სიყვარულის განცდა და სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობის სურვილი, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებას.

### სტანდარტის შედეგები (ისტორიული უნარები)

1. სტანდარტის შედეგები (ისტორიული უნარები) სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები

საზ.მეც.დანყ.(II).1. მოსწავლემ უნდა შეძლოს ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ქრონოლოგიურ წრილში გააზრება და გადმოცემა. მათი დაკავშირება თანამედროვე სოციალურ-კულტურულ გარემოსთან (მაგ.: სახელმწიფო, ისტორიული მემკვიდრეობა);

საზ.მეც.დანყ.(II).2. მოსწავლემ უნდა შეძლოს ლეგენდებისა და მითების, მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენებისა და პიროვნებების ლოკალურ გარემოსთან დაკავშირება; ქვეყნის განვითარებაში პიროვნების როლის გაცნობიერება.

საზ.მეც.დანყ.(II).3. მოსწავლემ უნდა შეძლოს საქართველოს მხარეების ბუნებრივი და სოციალურ-კულტურული მახასიათებლების შესწავლა/გამოვლენა; შეკითხვები:

როდის და როგორ შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო, ქართული დამწერლობა?

როგორ იცვლებოდა ქვეყნის საზღვრები (სამაჩაბლო, აფხაზეთი)?

რატომ არის საქართველოსთვის დამახასიათებელი ეთნიკური, კულტურული და რელიგიური მრავალფეროვნება?

რატომ ახასიათებს საქართველოს მრავალფეროვანი ეთნოგრაფიული ტრადიციები?

### ცნებები:

ისტორია, წყარო, ფაქტი და ინტერპრეტაცია;

კალენდარი, საუკუნე, წელთაღრიცხვა; სახელმწიფო, მმართველობის ფორმები, დამწერლობა, ერი, ეთნიკური ჯგუფი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე.

2. სტანდარტის შედეგები (გეოგრაფიული უნარები) სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები

საზ.მეც.დანყ.(II).3. მოსწავლემ უნდა შეძლოს საქართველოს მხარეების ბუნებრივი და სოციალურ-კულტურული მახასიათებლების შესწავლა/ გამოვლენა;

საზ.მეც.დანყ.(II).4. მოსწავლემ უნდა შეძლოს რუკის ლეგენდაში მოცემული პირობითი ნიშნების (გეომეტრიული, ფართობლივი და ხაზობრივი ნიშნები) საშუალებით რუკაზე დატანილი ინფორმაციის წაკითხვა;

საზ.მეც.დანყ.(II).5. მოსწავლემ უნდა შეძლოს საქართველოსთვის დამახასიათებელი ბუნებრივი მოვლენების გამომწვევი მიზეზებისა და მათი შედეგების გააზრება; ბუნებრივ მოვლენებზე ადეკვატური რეაგირება და მათგან თავდაცვა; შეკითხვები:

რა შეიძლება გავიგო საქართველოს შესახებ სხვადასხვა ტიპის რუკაზე დატანილი პირობითი ნიშნების საშუალებით?

რატომ არის ჩემი მოვალეობა ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისა და გარემოს დაცვა?

ცნებები:

გეოგრაფია, რუკა/ადგილის გეგმა, საზღვარი, ბუნებრივი რესურსები, დასახლების ტიპები, საცხოვრისის ტიპები, ლანდშაფტი (ბუნებრივი, ანთროპოგენული), ეკოლოგია / გარემოს დაცვა, რელიეფი, კლიმატი,

საზ.მეც.დანყ.(II).11. მოსწავლემ უნდა შეძლოს უსაფრთხოების წესების დაცვის მნიშვნელობის გააზრება და საგანგებო და საყოფაცხოვრებო სიტუაციებში შესაბამისად მოქმედება (მაგ.: ქუჩაში მოძრაობისას, ტრანსპორტში ყოფნისას, ექსკურსიაზე, ლაშქრობისას, ბუნებრივი კატასტროფებისას); ბუნებრივი მოვლენები და მათგან თავდაცვა,

საგანგებო სიტუაციები, ისტორიულ მხარე);

პროფესია, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, ვაჭრობა, ტრანსპორტი და კომუნიკაციები

3. სტანდარტის შედეგები (სამოქალაქო უნარები) სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები

საზ.მეც.დანყ.(II).8. მოსწავლემ უნდა შეძლოს მისი, როგორც ბავშვის, გარკვეული უფლება-მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების გაცნობიერება; დადგენილი წესებისა და კანონების საფუძველზე თავისი უფლებების რეალიზება და სხვისი უფლებების დაცვა.

საზ.მეც.დანყ.(II).9. მოსწავლემ უნდა შეძლოს საზოგადოებისთვის აქტუალური პრობლემების/მოვლენების ამოცნობა და საკუთარი ჩართულობით მათ გამოსწორებაზე ზრუნვა; შეკითხვები:

რა პრობლემები შეუძლია შეუქმნას ჩემს ქვეყანას ჩემი და ჩემი თანატოლების მხრიდან უპასუხისმგებლო ქმედებამ და მოვალეობების იგნორირებამ?

როგორ შევიტანოთ წვლილი ჩვენი ქვეყნის განვითარებაში არსებული გამოწვევების ფონზე (მაგ.: ცხოვრების ჯანსაღი წესი, განათლების ხელმისაწვდომობა, ქალთა და ბავშვთა დისკრიმინაცია,

### **მასწავლებლის წიგნის მიმოხილვა (მისი არსი, დანიშნულება);**

მასწავლებლის წიგნის ძირითადი მიზანია პედაგოგს დაეხმაროს სასწავლო პროცესის სწორად და ეფექტიანად დაგეგმვაში. მისცეს მას რჩევები ასაკობრივი ჯგუფის თავისებურე-

ბებისა და სსსმ მოსწავლეებთან ურთიერთობის შესახებ. ნათლად წარმოუჩინოს VI კლასის „ჩვენი საქართველოს“ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სტანდარტებსა და წლის ბოლოს მისაღწევ შედეგებს შორის კავშირი. მასწავლებლის წიგნში მოცემულია გაკვეთილების სცენარები – პირველი თავის ყველა გაკვეთილი და ყოველი მომდევნო თავის არანაკლებ 2 გაკვეთილის სცენარი (ნიმუში), ასევე 2 შემაჯამებელი გაკვეთილის სცენარი (ნიმუში).

მასწავლებლის წიგნში „ჩვენი საქართველოს“ ინტერდისციპლინურობიდან გამომდინარე დიდი ყურადღება ეთმობა სპეციფიკურ და ზოგად გამჭოლ კომპეტენციებს, რომლებზეც საგნის სწავლების პროცესში უნდა გამახვილდეს ყურადღება, რათა მოსწავლემ უკეთ შეძლოს საგნებს შორის (*ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება*) არსებული კავშირების ნათლად დანახვა. ასევე სარეკომენდაციო მიზნით წარმოდგენილია სწავლების ძირითადი მეთოდები და სტრატეგიები:

- დებატები/დისკუსია
- თანამშრომლობითი სწავლება
- ჯგუფური მუშაობა
- სწავლება პრობლემით
- შემთხვევის ანალიზი
- გონებრივი იერიში
- როლური და სიტუაციური თამაშები

წიგნში რეკომენდაციული ხასიათითაა წარმოდგენილი სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გამოსაყენებელი სასწავლო რესურსები. მათი გამოყენება სასწავლო პროცესს ეფექტურს, ხოლო სასწავლო გარემოს მოსწავლეთათვის კომფორტულს გახდის.

**მოსწავლეზე ორიენტირებული ინდივიდუალური მიდგომები საგნის სწავლების პროცესში. სამიზნე ასაკის თავისებურებები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს საგნის სწავლებისას – შემეცნებითი, სოციალურ-პიროვნული, ფიზიკური, ასევე, მეტყველების თავისებურებები, შემეცნებითი, დაკვირვებისა და აღქმის უნარები, მოსწავლის დატვირთვა, დავალებების შესრულების სპეციფიკა**

მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლების საუკეთესო საშუალება, ეფექტური სწავლების სტრატეგიების გამოყენებაა. სწავლების სტრატეგიის შერჩევასას მასწავლებელმა რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი უნდა გაითვალისწინოს. მათ შორისაა სამიზნე ასაკის თავისებურებები, შემეცნებითი, სოციალურ-პიროვნული, ფიზიკური, მეტყველების თავისებურებები, შემეცნებითი, დაკვირვებისა და აღქმის უნარები, მოსწავლის დატვირთვა, დავალებების შესრულების სპეციფიკა და სხვ.

**ფიზიკური თავისებურებები** – დაწყებითი სკოლის მოსწავლეების უმრავლესობა ფიზიკურად საკმაოდ განვითარებულია. მათი ფიზიკური აღნაგობა საშუალებას იძლევა მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა სპორტულ აქტივობაში. ამ ასაკის ბავშვებში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს თანატოლების ფიზიკური განსხვავებულობა. ბავშვი, რომელიც ასაკთან შესაბამისად უფრო პატარად ან პირიქით უფრო დიდად გამოიყურება შეიძლება თანატოლების მხრიდან უტაქტო მიმართვის მსხვერპლიც კი გახდეს. (*მაგ: შენ ძალიან დიდი ხარ იმისთვის, რომ VI კლასში სწავლობდე და სხვ.*) დაწყებითი სკოლის პერიოდში გოგონები ფიზიკურად ისეთივე ან უფრო განვითარებულები არიან ვიდრე ბიჭები. აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს იმ გარემოებაზეც, რომ მოსწავლის პიროვნული იდენტობა სწორედ პუბერტატიულ ასაკში (11-14 წელი) ყალიბდება.

## რეკომენდაცია

1. სასურველია ფიზიკურ განსხვავებებს ყურადღება მიაქციოთ ისე, რომ ბავშვების ფიზიკურ თავისებურებაზე აქცენტი არ გააკეთოთ.
2. რეკომენდირებულია კლასში მოსწავლეთა ადგილების შერჩევასა მაქსიმალურად გავითვალისწინოთ მათი ფიზიკური აღნაგობისა და განვითარებულობის თავისებურებები.
3. მაქსიმალურად მივაქციოთ ყურადღება, რათა მოსწავლეებმა ერთმანეთს არ მიმართონ ფიზიკური თვისებებიდან გამომდინარე შერქმეული მეტსახელებით.

**მეტყველების თავისებურებები** – მოსწავლის კოგნიტური განვითარებისთვის მეტყველება მნიშვნელოვანია. დაწყებით საფეხურზე მოსწავლეები ინფორმაციას ხშირად მექანიკურად იმახსოვრებენ. რადგან მათი მეტყველების უნარები ჯერ კიდევ არ აძლევთ საშუალებას საკუთარი სიტყვებით გადმოსცენ დამახსოვრებული ინფორმაცია. შესაბამისად აუცილებელია მასწავლებელმა დიდი ყურადღება დაუთმოს ვერბალური მეხსიერების ჩამოყალიბებისთვის აუცილებელ სავარჯიშოებს.

**დაკვირვებისა და აღქმის უნარები** – VI კლასთან მუშაობისას რეკომენდირებულია მასწავლებელმა ხშირად გამოიყენოს **კეთებით სწავლების** სტრატეგია, რამდენადაც ეს მეთოდი ამ ასაკობრივი კატეგორიის მოსწავლეთათვის ინფორმაციის მიღებისა და აღქმის თვალსაზრისით ყველაზე მოსახერხებელი მიდგომაა.

**მოსწავლის დატვირთვა** – ეროვნული სასწავლო გეგმით საგან „ჩვენი საქართველოს“ ფარგლებში კვირის განმავლობაში ჩასატარებელი მაქსიმალური გაკვეთილების რაოდენობა შეადგენს 2-ს. საკლასო დატვირთვისას აუცილებლად გასათვალისწინებელია სამიზნე ასაკის თავისებურებები. საგულისხმოა, რომ ზედმეტმა დატვირთვამ ბავშვის არა მხოლოდ ფიზიკურ, არამედ ფსიქიკურ ჯანმრთელობაზეც შეიძლება იქონიოს გავლენა.

## სპეციფიკური და ზოგადი გამჭოლი კომპეტენციები, რომლებზეც ამ კონკრეტული საგნის სწავლების პროცესში ყურადღება უნდა გამახვილდეს;

„ჩვენი საქართველო“ VI კლასის ფარგლებში რეკომენდირებულია ყურადღება გამახვილდეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შემდეგ პრიორიტეტულ გამჭოლ კომპეტენციებზე:

**1) ნიგნიერება.** ტრადიციული გაგებით, სიტყვა „ნიგნიერება“ გულისხმობს კითხვის, წერის, მოსმენისა და ლაპარაკის მიზნით ენის გამოყენების უნარს. დღეს ამ ცნების შინაარსი გაცილებით მეტს მოიცავს; თანამედროვე გაგებით, ნიგნიერება არის ცვალებად კონტექსტში კითხვის, წერის, ინფორმაციის დამუშავების, იდეებისა და მოსაზრებების გამოთქმის, გადაწყვეტილების მიღებისა და პრობლემების მოგვარების უნარი იმ ცოდნის საფუძველზე, რომელსაც ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში იძენს.

ნიგნიერებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს VI კლასის სტანდარტით გათვალისწინებული თემების სწავლებისას. რამდენადაც VI კლასის სტანდარტი სამ საგნობრივ ჯგუფად არის წარმოდგენილი (ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება) მნიშვნელოვანია მოსწავლემ შეძლოს ამ დისციპლინებს შორის არსებული კავშირების აღმოჩენა და გააზრება.

**2) ციფრული ნიგნიერება** (იგივეა, რაც კომპიუტერული ნიგნიერება). თანამედროვე მსოფლიოში საკომუნიკაციო და ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ ნიგნიერების ცნება კიდევ უფრო გააფართოვა. იგი ამჟამად მოიცავს ქსელური ძიების, ტექსტების ელექტრონული დამუშავებისა და ტექსტური შეტყობინების პროგრამების გამოყენების უნარსაც, რასაც მთლიანობაში ციფრული ნიგნიერება ეწოდება. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება ხელს უწყობს შემოქმედებითი და ინოვაციური მიდგომების გამომუშავებას მოსწავლეებში;

ციფრული ნიგნიერების, როგორც გამჭოლი კომპეტენციის მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია თანამედროვე სამყაროში. რამდენადაც თანამედროვე ტექნოლოგიები ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი სულ უფრო და უფრო ხდება ამ ტექნოლოგიების გამოყენებაც უფრო სახალისო და მოსწავლის ინტერესებზე მორგებული სასწავლო გარემოს შექმნას უზრუნველყოფს.

**3) ეკოლოგიური ნიგნიერება.** ეკოლოგიური ნიგნიერება გულისხმობს გარემოსადმი ადამიანის ჯანსაღი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს პირადი პასუხისმგებლობა გარემოში მიმდინარე პროცესების მიმართ, შეძლოს მონაწილეობა მის დაცვასა და აღდგენაში.

ეკოლოგიური ნიგნიერება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გამჭოლი კომპეტენციაა. ის პირდაპირ კორელაციაშია VI კლასის „ჩვენი საქართველოს“ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სტანდარტთან, რომელიც საზოგადოებრივი მეცნიერებების საფუძვლების ინტეგრირებულ სწავლებას გულისხმობს.

**4) სემიოტიკური კომპეტენცია.** სემიოტიკური კომპეტენცია არის ვერბალური და არავერბალური (რუკის, დიაგრამის, სქემის, ნახატის, მელოდისა და სხვ.) საშუალებით გადმოცემული ინფორმაციის გააზრებისა და ინტერპრტირების, საკუთარი ნააზრებისა და განცდილის სხვადასხვა საშუალებით გადმოცემის უნარი; ინფორმაციის ნიშანთა ერთი სისტემიდან მეორეში გადატანის (მაგ. სიტყვიერ ტექსტში ან მუსიკალურ ნაწარმოებში გადმოცემული აზრის ილუსტრაციით გამოხატვის, სიტყვიერი ტექსტისა და ნახატის ერთმანეთთან დაკავშირების, სიტყვიერად გადმოცემული ინფორმაციის დიაგრამის სახით წარმოდგენისა და ა.შ.) უნარი.

სემიოტიკური უნარების განვითარება პირდაპირ კავშირშია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სტანდარტთან (*საზ.მეც.დანყ.(II).4.*) რომელიც გულისხმობს რუკის ლეგენდაში მოცემული პირობითი ნიშნების საშუალებით რუკაზე დატანილი ინფორმაციის ნაკითხვას.

**5) სწავლის სწავლა.** სწავლის სწავლა არის სწავლის პროცესის დამოუკიდებლად მართვის უნარი. მასწავლებელმა უნდა მიმართოს მოსწავლის ყურადღება სწავლის პროცესზე, მის მიმდინარეობაზე; დაეხმაროს მოსწავლეს იმ ფაქტორებისა და პირობების გაცნობიერებაში, რომლებიც აფერხებს ან ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მსვლელობას; აღმოაჩინოს ის ხერხები და მიდგომები, რომლებიც აუმჯობესებს სწავლის შედეგებს და გამოუმუშავოს სწავლის სტრატეგიების დამოუკიდებლად გამოყენების უნარი

**1) სოციალური და სამოქალაქო კომპეტენცია.** სოციალური და სამოქალაქო კომპეტენცია გულისხმობს სამოქალაქო ცხოვრებაში ინტეგრირებისათვის აუცილებელი ისეთი უნარებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებას, როგორებიცაა: კონსტრუქციული თანამშრომლობა, პრობლემების მოგვარება, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, გადაწყვეტილების მიღება, შემწყნარებლობა, სხვისი უფლებების პატივისცემა, დემოკრატიული პრინციპების აღიარება და სხვა.

**2) ჯანსაღი ცხოვრების წესი –** არის ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ერთობლიობა, რომელიც ხელს უწყობს ფიზიკური და ფსიქიკური კეთილდღეობის მნიშვნელობის გაცნობიერებას; შესაძლებელს ხდის ზრუნვას საკუთარ და სხვათა ჯანმრთელობაზე; იძლევა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხების გააზრების საშუალებას ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ VI კლასში „ჩვენი საქართველო“ საზოგადოებრივი მეცნიერებების ინტეგრირებულ სწავლებას გულისხმობს. და მოიცავს სამ საგნობრივ ჯგუფს (*ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება*) სწორედ სამოქალაქო განათლების ფარგლებში საქალაქო ცხოვრებაში მოსწავლის ინტეგრირება წარმოადგენს V-VI კლასებში „ჩვენი საქართველოს“ სტანდარტით გათვალისწინებულ მთავარ მიზანსაც.

გარდა ყოველივე ზემოთ თქმულისა პრიორიტეტული გამჭოლი კომპეტენციების დასაუფლებლად აუცილებელია სასწავლო პროცესში საგანთა შორისი კავშირების ჩვენება. საგაკვეთილო პროცესი უნდა წარიმართოს ისე, რომ მოსწავლეს მაქსიმალურად შეეწყოს ხელი, საგანში შექნილი ცოდნა და გამოცდილება სხვადასხვა შინაარსობრივ კონტექსტში გადაიტანოს და გამოიყენოს.

### **სწავლების ძირითადი მეთოდები და სტრატეგიები, რომელთაც ეყრდნობა სახელმძღვანელო**

სწავლების პროცესში ახალი მასალის შესწავლა რეკომენდირებულია რამდენიმე მეთოდის გამოყენებით. არსებობს სწავლების მეთოდების სხვადასხვაგვარი კლასიფიკაცია. გთავაზობთ VI კლასის „ჩვენი საქართველოს“ სახელმძღვანელოთი სწავლებისას გამოსაყენებელი მეთოდებისა და სტრატეგიების ჩამონათვალს, რომელიც რეკომენდირებულია V-VI კლასის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სტანდარტის შესაბამისად.

**1) დებატები/დისკუსია –** ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდთაგანია, რომელიც მკვეთრად ამაღლებს მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დებატების ორგანიზება, სრულყოფს და ავითარებს ისეთ უნარებს როგორიცაა: **კრიტიკული აზროვნების უნარი, კვლევითი უნარები, ინფორმაციის სისტემატიზაციის უნარი, ინსტრუქციის ადეკვატურად აღქმის უნარი და სხვ.**

განასხვავებენ დებატების რამდენიმე ფორმატს. დებატების სხვადასხვა ფორმატი ერთმანეთისგან განსხვავდება მონაწილეთა რაოდენობით, თამაშის სტილით, დროის ხანგრძლივობითა და სხვადასხვა ნიუანსებით. გავრცელებული დებატების ფორმატებია:

1. კარლ პოპერის ფორმატი;
2. ბრიტანული საპარლამენტო დებატები;
3. ლინკოლნ-დუგლასის ფორმატი;
4. საჯარო ფორუმ-დებატები.

თამაშში მონაწილეობას იღებს ორი გუნდი. თითოეული გუნდი სამი სპიკერისაგან არის დაკომპლექტებული. პირველი გუნდის მიზანია დაამტკიცოს გარკვეული მოსაზრების სისწორე, ხოლო მეორის – უარყოს. სასურველია, რომ გუნდებმა თავიანთი პოზიციის შესახებ (მტკიცებითი/უარყოფითი) გაიგონ თამაშის დაწყებამდე მცირე ხნით ადრე. ეს თამაშში მონაწილე გუნდებს აძლევს მოსამზადებელ პერიოდში დაამუშაონ ორივე პოზიცია, რაც თავისთავად ხელს უწყობს თემის მრავალმხრივ გააზრებასა და გაანალიზებას.

დებატების დროს აუცილებელია გამომსვლელთა თანმიმდევრობის დაცვა. თითოეულ გამომსვლელს აქვს რეგლამენტით გათვალისწინებული ზუსტი დრო. გამომსვლელები იყოფიან დამამტკიცებლად ( 1, 2, 3) და უარყოფელად ( 1, 2, 3).

მომხსენებელი	დრო	ფუნქცია
A1	7	გააცნობს თემას. განსაზღვრავს ძირითად ცნებებს, წარმოადგენს თემის ანალიზს, განმარტავს არგუმენტებს.
B3	3	B3 დაუსვამს კითხვებს A1-ს, უარყოფს მის არგუმენტებს.
B1	7	ანგარიში მიიღება მთლიანად, სხვა განსაზღვრებას არ წამოაყენებენ, იმ შემთხვევაში, თუ B1-ის ვარაუდები აბსოლუტურად მცდარი არაა
A3/B1	3	A3 დაუსვამს კითხვებს B1-ს.
A2	4	უარყოფს B1-ის არგუმენტებს და აძლიერებს დამამტკიცებელ პოზიციას.
B1/A2	4	B1 დაუსვამს კითხვებს A2-ს.
B2	3	უარყოფს A1-ისა და A2-ის არგუმენტებს. აძლიერებს უარყოფით პოზიციას.
A1/B2	4	A1 დაუსვამს კითხვებს B2-ს.
A3	3	უარყოფს უარყოფით არგუმენტებსა და მტკიცებულებას, აძლიერებს და ასაბუთებს დამამტკიცებელ მიმართულებას
B3	4	უარყოფს დამამტკიცებელ არგუმენტებსა და მტკიცებულებას, აძლიერებს და ასაბუთებს უარყოფით მიმართულებას.

მასწავლებელმა დებატებისთვის თემის შერჩევას აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს შემდეგი პირობა:

- საკითხი უნდა იყოს წინააღმდეგობრივი, რათა მტკიცებითი და უარყოფითი არგუმენტების მოყვანის შესაძლებლობას იძლეოდეს.

➤ მნიშვნელოვანია დებატებში მონაწილე მხარეებს წინასწარ განემარტოთ დებატების ჩატარების წესი და რეგლამენტი.

➤ რეკომენდირებულია თემა იძლეოდეს კვლევის საშუალებას

2) **თანამშრომლობითი სწავლება** – ასეთი სწავლების სტრატეგიის გამოყენების დროს, ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს კონკრეტულ პრობლემურ საკითხზე, მანამდე, სანამ ყველა მათგანი არ დაეუფლება თემას.

სწავლების გამოყენება ხელს უწყობს ბავშვებს შორის ახლო მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებას და მნიშვნელოვნად აუმჯობესებს სასწავლო გარემოს.

3) **ჯგუფური მუშაობა** – ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს კლასის ჯგუფურად დაყოფას და მათთვის კონკრეტული დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ამუშავებენ საკითხს და საკუთარ აზრს თანაგუნდელებს უზიარებენ. კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე მასწავლებელმა შესაძლოა წინასწარ განსაზღვროს ჯგუფის წევრების ფუნქციები.

4) **სწავლება პრობლემით** – განათლებისადმი ერთ-ერთი ზოგადი მიდგომათაგანია პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა. ასეთი მეთოდის გამოყენებისას სწავლა ეყრდნობა ღია დასმულ პრობლემურ შეკითხვებს, რომლებიც აქტუალურია კონკრეტული საზოგადოებისთვის. მასწავლებელი ძირითადად ფასილიტატორის როლს ასრულებს რის შედეგადაც მოსწავლეს უვითარდება მეტი პიროვნული პასუხისმგებლობის შეგრძნება.

5) **შემთხვევის ანალიზი** – კვლევითი სტრატეგიაა, რომლის მიზანია ცალკეული ფენომენის ემპირიული შესწავლა რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციაში სხვადასხვა წყაროების გამოყენებით. მოცემული სტრატეგიის გამოყენებისას მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად განიხილავს კონკრეტულ შემთხვევას და ისინი ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს.

6) **გონებრივი იერიში** – ეს მეთოდი გულისხმობს საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული, აზრის, გამოთქმასა და ჩამოყალიბებას. ასეთი მეთოდის გამოყენება მოსწავლეებში ხელს უწყობს შემოქმედებითი უნარების განვითარებას. მეთოდის გამოყენება რეკომენდირებულია შედარებით დიდი მოცულობის ჯგუფებთან მუშაობისას.

7) **როლური და სიტუაციური თამაშები** – ასაკობრივი კატეგორიის გათვალისწინებით განსაკუთრებით ეფექტურია წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით განხორციელებული თამაშები. ასეთი თამაშების ორგანიზება მოსწავლეს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს განსახილველ საკითხს.

## **რეკომენდაციები სასწავლო საგანმანათლებლო რესურსების გამოყენებისათვის**

ეროვნული სასწავლო გეგმა VI კლასში სამ საგნობრივ სტანდარტს აერთიანებს (*ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება*). რეკომენდირებულია, რომ სასწავლო რესურსები თანაბრად მოიცავდეს სამივე კომპონენტს. ასეთ შემთხვევაში მოსწავლე უკეთ შეძლებს დისციპლინებს შორისი კავშირების აღმოჩენას. VI კლასის სტანდარტით გათვალისწინებული პროგრამის შესაბამისად რეკომენდირებულია შემდეგი სასწავლო რესურსების გამოყენება:

**რუკები/კონტურული რუკები** – კონტურული რუკების გამოყენება მოსწავლეს ხელს უწყობს განივითაროს რუკაზე ორიენტირების უნარები. მოსწავლემ შეიძლება იმუშაოს, როგორც საქართველოს მხარეების ასევე ისტორიული კონტურული რუკების აგებაზე. საინტერესოა ასევე „ასოციაციური რუკის“ დახატვა, რომელზეც სამხარეო ერთეულები სხვადასხვა ვიზუალური სახითაა წარმოდგენილი. საინტერესო იქნება მოსწავლეებმა ბუნებრივი რესურსების რუკის საშუალებით განსაზღვრონ, თუ რომელი რესურსითაა მდიდარი საქართველოს ესა თუ ის მხარე.

**ვიზუალური მასალა** – ამგვარი დამხმარე მასალის გამოყენების შემთხვევაში სასწავლო პროცესი ბევრად სახალისო და მოსწავლეთათვის მიმზიდველი ხდება. ფოტოების საშუალებით საქართველოს ამა თუ იმ მხარის მთიანი და დაბლობი ადგილების პეიზაჟების პრეზენტაცია და საცხოვრებელი სახლების ტიპებთან მათი დაკავშირება. ასევე რეკომენდირებულია ფაზლების საშუალებით, რომლებიც საქართველოს მხარეებსა და მის მეზობელ ქვეყნებს წარმოადგენენ, საქართველოს ადმინისტრაციული რუკის აგება (ჯგუფური სამუშაო).

**გასვლითი ღონისძიება** – მხარეთმცოდნეობით მუზეუმში/მუზეუმ-ნაკრძალში სტუმრობა და საკუთარი მხარის ეთნოგრაფიული ყოფის შედარება საქართველოს ამა თუ იმ მხარესთან.

**როლური თამაში** – როლური თამაში, რომლითაც ერთიან საქართველოში სავაზიროს დარბაზობის კოსტუმირებული ინსცენირება იქნება წარმოდგენილი (რომელშიც სახელმწიფოს სხვადასხვა მოხელე: მეფე, მეჭურჭლეთუხუცესი, ამირსპასალარი მიიღებენ მონაწილეობას)

## **მოსწავლის შეფასების სახეები, პრინციპები და მექანიზმები**

### **შეფასების ტიპები**

ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, სკოლაში მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. **განმავითარებელ** შეფასებას სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად იყენებენ, განსხვავებით **განმსაზღვრელი** შეფასებისგან, რომლის მიზანს აკადემიური მოსწრების დონის დადგენა წარმოადგენს. 2018-2024 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, საგნის „ჩვენი საქართველო“ სწავლა-სწავლებისას გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები.

### **სემესტრული შეფასების კომპონენტები:**

სემესტრის განმავლობაში მასწავლებლებს შესაძლებლობა აქვთ მოსწავლეები შეაფასონ სამი კომპონენტის მიხედვით:

**ა) საკლასო დავალება;**

**ბ) საშინაო დავალება;**

**გ) შემაჯამებელი დავალება.**

განმავითარებელი შეფასების გამოყენება კი ნებისმიერ კომპონენტში შეუძლია.

განმსაზღვრელი შეფასებით სემესტრის განმავლობაში მოსწავლეები ფასდებიან შემდეგ კომპონენტებში:

- ა) მიმდინარე საკლასო დავალება (V კლასის მეორე სემესტრიდან)
- ბ) მიმდინარე საშინაო დავალება (V კლასის I სემესტრში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება)
- გ) შემაჯამებელი დავალება (V კლასის II სემესტრიდან)

**განმავითარებელი შეფასების ზოგადი პრინციპები და მექანიზმები**

განმავითარებელი შეფასების სტრატეგიებია:

- 1) უკუკავშირი მოსწავლესთან, რომელიც ხელს უწყობს მის აკადემიურ წინსვლას და გაზრდის მის მოტივაციას;
- 2) მოსწავლეთა ინდივიდუალური პასუხიმგებლობის ზრდის ხელშეწყობა;
- 3) საგაკვეთილო დისკუსიებისა და ისეთი აქტივობების განხორციელება, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლის ცოდნისა და უნარების წარმოჩინებას.
- 4) თანამშრომლობითი სწავლების მეთოდის გამოყენებით

განმავითარებელი შეფასების გამოყენების დროს სასურველია მასწავლებლის უკუკავშირი იყოს დროული და მაქსიმალურად ლაკონური, რათა მოსწავლემ ადეკვატურად შეძლოს მისი აღქმა. აუცილებელია მასწავლებლის უკუკავშირი ხელს უწყობდეს მოსწავლის მხრიდან ინიციატივის გამოვლენასა და ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით შედეგზე ორიენტირებული საქმიანობის დაგეგმვას. (საზ.მეც.დანყ.(II).7. სტანდარტის შესაბამისად) რეკომენდირებულია მასწავლებელმა გაითვალისწინოს, რომ განმავითარებელი შეფასების განხორციელება საჭიროებს სპეციფიკურ აქტივობებსა და დავალებებს.

**განმსაზღვრელი შეფასების ზოგადი პრინციპები და მექანიზმები**

განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ შედეგებთან მიმართებაში.

აკადემიური მიღწევის დონეები და შეფასების სისტემა ათქულიანი სისტემით.

ქულები	შეფასების დონეები
10	მაღალი
9	
8	საშუალოზე მაღალი
7	
6	საშუალო
5	
4	საშუალოზე დაბალი
3	
2	დაბალი
1	

	<b>განმავითარებელი</b>	<b>განმსაზღვრელი</b>
<b>მიზნები</b>	სწავლის ხარისხის გაუმჯობესება; მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობა.	მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დადგენა საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში.
<b>ამოცანები</b>	ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის შეფასება; წინარე ცოდნის/წარმოდგენების დადგენა; მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარის შეფასება; მოსწავლის მიერ საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად გააზრებული ნაბიჯების გადადგმის უნარის შეფასება; ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესის შეფასება; ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება.	ცოდნათა ურთიერთდაკავშირების უნარის შეფასება; ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენების უნარის შეფასება; ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება.
<b>წარმატების კრიტერიუმი</b>	განხორციელებული წინსვლა წინარე შედეგებთან/ წინარე დონესთან შედარებით.	მიღწევის დონე საგნობრივი სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შედარებით
<b>შემფასებელი და შეფასების ფორმები</b>	<b>მასწავლებელი:</b> ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი უკუკავშირი, წამახალისებელი მითითებები, სიმბოლური ნიშნები და ა.შ.. <b>მოსწავლეები:</b> თვითშეფასებით; ურთიერთშეფასებით.	მასწავლებელი: ქულა (შეიძლება ახლდეს კომენტარი ძლიერი და სუსტი მხარეების აღწერით, ხარვეზების გამოსასწორებელი მითითებებით).

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების აღწერილობა

**ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკლასო შეფასების ძირითად ამოცანები და მიზნები.**

- ა) აჩვენოს, როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მესხიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება;
- ბ) ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები;
- გ) გამოავლინოს, რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს მოსწავლე კონკრეტული სასწავლო მიზნის მისაღწევად;
- დ) მოიცვას სამივე კატეგორიის ცოდნა;
- ე) აჩვენოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა კომპლექსურად გამოყენებას.

ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად საკლასო შეფასებაში პრიორიტეტული ადგილი უნდა მიენიჭოს კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უზიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ.

**შემაჯამებელი დავალებების სტანდარტი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით**

შემაჯამებელი დავალება წარმოდგენილი უნდა იყოს კომპლექსური დავალების სახით. კომპლექსური

დავალება შეიძლება იყოს შემდეგი სახის:

1. საქართველოს ამა თუ იმ მხარის (მაგალითად, ქართლის) რომელიმე პუნქტში ექსკურსიის გზით კვლევის ჩატარება (ისტორიულ-გეოგრაფიულ-სოციალურ პრობლემებზე) და მისი შედეგების პრეზენტაცია;
2. საქართველოს ამა თუ იმ მხარის საპატივცემულოდ რაიმე ღონისძიების გამართვა, რომელშიც ისტორიის, გეოგრაფიისა და სამოქალაქო განათლების მონაცემები აისახება;
3. როლური თამაშით საქართველოს ამა თუ იმ მხარის რომელიმე ისტორიული მოვლენის ეპიზოდის წარმოდგენა;
4. მაკეტების შექმნა საქართველოს ორი მხარის მახასიათებლების ერთმანეთთან შედარების მიზნით;
5. ეთნოგრაფიულ მუზეუმში სტუმრობა მისი ღირსშესანიშნაობების შესასწავლად;
6. საქართველოს ამა თუ იმ მხარის შესახებ საინფორმაციო-სარეკლამო ბუკლეტის შექმნა;
7. სკაიპის, ტელეფონის ან სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით საქართველოში სხვადასხვა მხარეში მცხოვრებ თანატოლებთან დაკავშირება, ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა და თანატოლების პრობლემების ირგვლივ მოგროვილი ინფორმაციის განზოგადება;
8. საქართველოს ამა თუ იმ მხარისთვის აქტუალური მარტივი სამოქალაქო პროექტების (ეკოლოგია, საგანგებო ვითარებები, ჯანსაღი ცხოვრება) განხორციელება.

მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შემაჯამებელი დავალება

დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს თავისი შეფასების ზოგადი რუბრიკა (თუ რეცეფციული (კითხვა, მოსმენა) დავალებაა, მაშინ შეფასების სქემა უნდა ახლდეს თითოეულ ტესტურ კითხვას);

ზოგადი რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;

10 ქულა უნდა გადანაწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე;

მითითებული უნდა იყოს სტანდარტის ის შედეგები, რომელთა შემოწმებასაც ემსახურება შემაჯამებელი დავალება.

ეროვნული სასწავლო გეგმით V კლასის მეორე სემესტრისა და VI კლასის საბაზო-საშუალო საფეხურების თითოეული საგნისათვის განსაზღვრულია სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელი შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა. გთავაზობთ 2018-2024 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტით გათვალისწინებულ საათობრივი ბადას და შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო მინიმალური რაოდენობის ცხრილს.

„ჩვენი საქართველო“ კლასი	საათების რაოდენობა კვირაში		შენიშვნა	შემაჯამებელი დავალების სავალდებულო მინიმალური რაოდენობა	
	სემესტრი			სემესტრი	
	I	II		I	II
V	2	2		-	3
VI	2	2		2	3

**ყველაზე მნიშვნელოვანი აქტივობების, ღონისძიებების, პროექტების, ჩატარებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები**

რამდენადაც „ჩვენი საქართველო“ ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრული სტანდარტი აერთიანებს სამ დისციპლინას (*ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება*) ამდენად, წლის მანძილზე მრავალფეროვანი აქტივობების განხორციელება შეიძლება.

**მუზეუმში სტუმრობა** – რეკომენდირებულ აქტივობათა რიცხვს მიეკუთვნება გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმში სტუმრობა, სადაც მოსწავლეები საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული, რეალობისთვის დამახასიათებელ სამეურნეო ნაგებობებსა და ნივთებს გაეცნობიან. მუზეუმში ასევე დაცულია ეთნოგრაფიულ-მატერიალური კულტურის ამსახავი ექსპონატები: საბრძოლო და შრომის იარაღები, ტექსტილური და კერამიკული მასალა.

**თეატრში სტუმრობა** – ხელს უწყობს მოსწავლის განათლების დონის ამაღლებას, ასევე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსწავლის პიროვნებად სოციალიზაციაზე. სასურველია სპექტაკლმა მოსწავლეს გაუღვივოს პატრიოტიზმისა და მოქალაქეობრივი თვითშეგნების განცდა.

**სასწავლო რესურსის შექმნა** – ასეთი აქტივობის დროს მოსწავლე ქმნის ილუსტრაციებს, ძერწავს მისთვის ნაცნობ სამეურნეო ნაგებობებს, შრომისა და ბრძოლის იარაღებს. ამ გზით ის ცდილობს თანაკლასელებს დაეხმაროს სასწავლო მასალის უკეთ ათვისებაში.

**მოსწავლეთა კონფერენცია** – მოსწავლეთა კონფერენციაზე მომხსენებლები ერთი რომელიმე თემის ირგვლივ წარმოადგენენ „ონეროინტ“-ის დოკუმენტში მომზადებულ საპრეზენტაციო ფაილებს. საკუთარ მოსაზრებებსა და შეხედულებებს უზიარებენ ერთმანეთს.

**გასვლითი ტური (ექსკურსია)** – გასვლითი ტურის მიზანია რეალურ საველე პირობებში მოსწავლეები გაეცნონ ამა თუ იმ მხარის გეოგრაფიულ თავისებურებებს. მოინახულონ რე-

გიონში არსებული ისტორიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ობიექტები, გაეცნონ არსებულ ყოფა-ცხოვრებას და სხვ.

**პრაქტიკული მუშაობა** – მაკეტების შექმნა საქართველოს ორი მხარის მახასიათებლების ერთმანეთთან შედარების მიზნით.

**ძველი ქართული თამაშობებისა და სპორტული შეჯიბრებების რეკონსტრუქცია** – აქტივობის ფარგლებში შეიძლება მოწვეულ იქნას ხრიდოლის სპეციალისტი, რომელიც ბავშვებს ნაუკითხავს მცირე მოხსენებას ამ ძვ. ქართული სპორტული აქტივობის შესახებ. მოხსენების შემდგომ შეიძლება გაიმართოს პრაქტიკული მეცადინეობა-ვარჯიშიც.

**როლური თამაშები** – წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით საქართველოს ამა თუ იმ მხარის რომელიმე ისტორიული მოვლენის ეპიზოდის წარმოდგენა. „ცხოველთა დაცვის“ – ორგანიზაციის სხდომა, სადაც მოსწავლეები ორგანიზაციის წევრების როლს მოირგებენ და ქვეყნისთვის აქტუალურ მოვლენებს განიხილავენ. თამაში, რომლითაც ერთიან საქართველოში სავაზიროს დარბაზობის კოსტუმირებული ინსცენირება იქნება წარმოდგენილი (რომელშიც სახელმწიფოს სხვადასხვა მოხელე: მეფე, მეჭურჭლეთუხუცესი, ამირსპასალარი მიიღებენ მონაწილეობას); ასევე საქართველოს თანამედროვე პარლამენტის/მინისტრთა კაბინეტის სხდომის მოდელირება და სხვ.

## აგების პრინციპები;

VI კლასის სახელმძღვანელო “ჩვენი საქართველო” აგებულია როგორც მხარეთმცოდნეობითი ასევე ისტორიული მოვლენების ქრონოლოგიურ ჭრილში გააზრების პრინციპით. მოსწავლე შეძლებს ძირითადი ისტორიული და გეოგრაფიული ცნებებით ოპერირებას. განვითარებს იმ უნარებს, რომლებიც დაეხმარება ასაკისთვის შესაბამისი სააზროვნო უნარების ჩამოყალიბებაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმძღვანელოში ინფორმაციის ასეთი ფორმით ორგანიზება განაპირობა 2018-2024 წლების სტანდარტმა. შესაბამისად სტრუქტურა, რომელსაც სახელმძღვანელო ეყრდნობა (*მხარეთმცოდნეობა და ისტორიული მოვლენების ქრონოლოგიურ ჭრილში გააზრების შესაძლებლობა*) განპირობებულია სტანდარტთან მისი შესაბამისობით და არა ავტორთა ჯგუფის გადაწყვეტით.

სახელმძღვანელოში განსხვავებული თემატური ბლოკების სხვადასხვა ფერებითაა წარმოდგენილი. ინფორმაციის ორგანიზების ასეთი ფორმა დამატებით ხელისშემწყობ საშუალებას წარმოადგენს, რათა მოსწავლემ მარტივად შეძლოს სახელმძღვანელოში არსებული ინფორმაციის აღქმა და გამოყენება. მაგალითისთვის, შესავალი ნაწილი მწვანე, მხარეთმცოდნეობითი ხასიათის ინფორმაცია ლურჯ, ხოლო ტექსტები, რომლებიც უშუალოდ ისტორიულ მოვლენებს ასახავს ხაკისფერშია მოცემული.

ავტორთა ჯგუფმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა საშინაო დავალებების შედგენის მეთოდოლოგიურ სპეციფიკაზე. უმეტეს შემთხვევებში დავალების კითხვებში გვხვდება „**შენი აზრით**“ და არა „**თქვენი აზრით**“ კითხვის ასეთი უშუალო ფორმულირება ბავშვისთვის ტექსტს კიდევ უფრო ინტიმურს და ახლობელს ხდის, რაც ზრდის მის მოტივაციასა და პასუხისმგებლობას შეასრულოს ის.

სახელმძღვანელო სტრუქტურულად შედგება თავებისგან, რომლებიც თავის მხრივ რამდენიმე პარაგრაფს მოიცავს. თავები ძირითადად მხარეთმცოდნეობითი პრინციპითაა დალაგებული. თითოეული თავი მოიცავს რამდენიმე პარაგრაფს. სტრუქტურული თვალსაზრისით თავები შემდეგი სახითაა წარმოდგენილი:

1. ზოგადი ინფორმაცია
2. გეოგრაფიული გარემო
3. ისტორია
4. ყოფა-ცხოვრება
5. აწმყო და მომავალი

თითოეული პარაგრაფი თავის მხრივ შედგება შემდეგი სტრუქტურული ერთეულებისგან.

1. ძირითადი ტექსტი
2. მატიაწე
3. პორტრეტი
4. ლეგენდა (გადმოცემა)
5. დასახლება
6. ეტიმოლოგია
7. სიტყვის კონა.
8. დავალებები, რომელთა ნაწილი გათვლილია საკლასო ნაწილი კი საშინაო სამუშაოსთვის.

**მატიანე** – ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამუშაო ერთეულია მატიაწე. მატიაწე ორიენტირებულია მოსწავლეს განუვითაროს ადაპტირებულ პირველწყაროსთან (მაგ: ქართლის ცხოვრება, მოქცევაი ქართლისაი და სხვ.) პრაქტიკული მუშაობის უნარები.

**თვალსაჩინოება** – მოსწავლის წიგნში მრავლადაა წარმოდგენილი თვალსაჩინოებები, რომლებიც მოსწავლეს ძირითადი ტექსტის აღქმაში მნიშვნელოვან დახმარებას უწევს.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ისტორიული რუკები, რომელთა შექმნისას გათვალისწინებულია საქათველოს ისტორიისა და კულტურის საერთო, (როგორც რეგიონული ისე მსოფლიო მასშტაბით) კონტექსტში წარმოჩენა. ასეთი სასწავლო მასალა მოსწავლეს ხელს უწყობს საქართველოს ისტორია გაიაზროს ვრცელ მსოფლო კონტექსტში. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ტიპის რუკების არსებობა ხელს უშლის ვინრო სტერეოტიპული აზროვნების ჩამოყალიბებას.









## აქტივობები და შესაბამისი რესურსები, გაკვეთილის ორგანიზების ფორმები;

VI კლასის „ჩვენი საქართველოს“ ფარგლებში რეკომენდირებულია მასწავლებელმა გამოიყენოს გაკვეთილის ორგანიზების შემდეგი ფორმები:

1) **ინდივიდუალური** – მიმართულია კონკრეტული მოსწავლის საჭიროებაზე შეიძინოს და განივითაროს ესა თუ ის უნარი, რომელიც გათვალისწინებულია შესაბამისი ასაკობრივი და საგნობრივი სტანდარტით.

2) **ჯგუფური** – კლასი იყოფა 3-5 კაციან ჯგუფებად რომელიმე მონაწილე იღებს ბარათს, რომელზეც წერია ინსტრუქცია. სასურველია, დავალებები, რომელთა შესრულებაც ჯგუფს მოუწევს იყოს ღია და ნაკლებად კონკრეტული. აქტივობის დასასრულს ჯგუფი წარმოადგენს კონკრეტულ პოზიციას განსახილველი თემის ირგვლივ. საგულისხმოა, რომ პოზიცია გამოხატავს ჯგუფის უმრავლესობის აზრს და დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას უწყობს ხელს.

3) **წყვილებში მუშაობა** – მასწავლებელი კლასს ყოფს წყვილებად და განუსაზღვრავს სამუშაო დროს. აძლევს მათ კონკრეტულ დავალებას და ანაწილებს როლებს წყვილებს შორის. სწავლების ეს მეთოდი ითვალისწინებს ბავშვების თანამშრომლობის პოტენციალსა და იმ პოზიტიურ ურთიერთგავლენას, რომელსაც მეწყვილეები განიცდიან. წყვილებში მუშაობის პრაქტიკა ხელს უწყობს ისეთი უნარების განვითარებას, როგორცაა: პასუხისმგებლობა, თვითდისციპლინა, ურთიერთდახმარება.

4) **მთელ კლასთან** – ამ მეთოდის გამოყენებისას მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს კლასის საშუალო დონე და დავალებებიც სწორედ ამ ნიშნის მიხედვით შეარჩიოს. მნიშვნელოვანია, რომ ყველა საკლასო აქტივობა მაქსიმალურად ითვალისწინებდეს კლასში მყოფი ყველა ბავშვის შესაძლებლობებს და მათ ინტერესებს.

## გაკვეთილების სცენარები

1) **გაკვეთილის თემა:** საქართველო - მდებარეობა

2) **გაკვეთილის მიზანი:** ა) გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები გაეცნობიან საქართველოს მდებარეობას და მის ადგილს მსოფლიოში ბ) მოსწავლეები განივითარებენ რუკასა და ტექსტზე მუშაობის უნარებს.

3) **კავშირი ესგ. სტანდარტთან: აზ.მეც.დანყ.(II).4. მოსწავლეს შეუძლია:** რუკის ლეგენდაში მოცემული პირობითი ნიშნების საშუალებით რუკაზე დატანილი ინფორმაციის წაკითხვა. **საზ.მეც.დანყ.(II).3. მოსწავლეს შეუძლია :** საქართველოს მხარეების ბუნებრივი და სოციალურ-კულტურული მახასიათებლების შესწავლა.

4) **წინარე ცოდნა, რომელსაც უნდა ფლობდეს მოსწავლე:** ა) საქართველოს ადმინისტრაციული დაყოფა და აღნიშნული დაოფის პრინციპები. ბ) რუკაზე დატანილი პირობითი ნიშნების განმარტება.

	აქტივობა / მეთოდი	კლასისი ორგანიზების ფორმა	სასწავლო რესურსი	დრო
1	დასწრების აღრიცხვა, წინა საგაკვეთილო განწყობის შექმნა, გაკვეთილის მიზნის გაცნობა.			5  წუთი
2	მოსწავლეები ეცნობიან კავკასიის კოსმოსიდან გადარეულ ფოტოს და პასუხობენ კითხვას: სად მდებარეობს საქართველო? თქვენი აზრით, რამდენად მრავალფეროვანია კავკასიის ბუნებრივი გარემო?	საერთო საკლასო	მოსწავლის წიგნი	10  წუთი
3	მოსწავლეები ერთმანეთს უზიარებენ მიღებულ პასუხებს, იღებენ მასწავლებლისგან განმავითარებელ შეფასებასა და უკუკავშირს.	საერთო საკლასო		7  წუთი
4	მასწავლებელი მინი ლექციაში საუბრობს კავკასიის მდებარეობასა და მის ადგილზე მსოფლიოში.	საერთო საკლასო		7  წუთი
5	მოსწავლეები ეცნობიან ლეგენდის ბლოკში მოცემულ ინფორმაციას და წერილობით პასუხობენ კითხვებზე: რას მოგვითხრობს ლეგენდა? თქვენი აზრით, რა კავშირი აქვს ამ ლეგენდას საქართველოს გეოგრაფიულ გარემოსთან?	საკლასო ინდივიდუალური	მოსწავლის წიგნი, კალამი, რვეული.	10  წუთი
6	მასწავლებელი აჯამებს გაკვეთილს და სთხოვს მოსწავლეებს საშინაო დავალების სახით გაეცნონ სახელის ისტორიის გრაფაში მოცემულ ინფორმაციას.	საერთო საკლასო		6წუთი

**ტექსტსა და წყაროზე მუშაობის შეფასების რუბრიკა**

№	შეფასების კრიტერიუმები	ქულა
1	მოსწავლე ტექსტის ანალიზს / თანდართულ კითხვებზე პასუხს წარმოადგენს მითითებულ დროში.	1
2	მიღებული პასუხები/ შედეგები პასუხობს ტექსტისა და კითხვის შინაარსს.	4
3	პასუხები / მოსაზრებები გამყარებულია არგუმენტებით.	4
4	ტექსტის გრამატიკული მხარე გამართულია.	1

1) **გაკვეთილის თემა:** კავკასიის რეგიონი

2) **გაკვეთილის მიზანი:** ა) გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები გაეცნობიან კავკასიის რეგიონს, მის მდებარეობას და გეოგრაფიულ გარემოს ბ) მოსწავლეები განივითარებენ რუკასა და ტექსტზე მუშაობის უნარებს.

3) **კავშირი ესგ. სტანდარტთან: აზ.მეც.დანყ.(II).4. მოსწავლეს შეუძლია:** რუკის ლეგენდაში მოცემული პირობითი ნიშნების საშუალებით რუკაზე დატანილი ინფორმაციის წაკითხვა. **საზ.მეც.დანყ.(II).14. მოსწავლეს შეუძლია:** ბუნებრივი გარემოს, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის გაცნობიერება და მის მიმართ მზრუნველი დამოკიდებულების გამოვლენა.

4) **წინარე ცოდნა, რომელსაც უნდა ფლობდეს მოსწავლე:** ა) საქართველოს მდებარეობა . ბ) რუკაზე დატანილი პირობითი ნიშნების ამოცნობა.

	აქტივობა / მეთოდი	კლასის ორგანიზების ფორმა	სასწავლო რესურსი	დრო
1	დასწრების აღრიცხვა, წინა საგაკვეთილო განწყობის შექმნა, გაკვეთილის მიზნის გაცნობა.			5 წუთი
2	მოსწავლეები ეცნობიან რუკას და წერილობით პასუხობენ კითხვებს: რამდენი სახელმწიფო მდებარეობს კავკასიაში? ჩამოთვალეთ მათი დედაქალაქები. რომელი მნიშვნელოვანი ქალაქები მდებარეობს ჩრდილოეთ კავკასიაში? რომელი ზღვები მდებარეობს კავკასიის რეგიონში?	საკლასო ინდივიდუალური	მოსწავლის წიგნი, კალამი, რვეული	15 წუთი
3	მოსწავლეები ერთმანეთს უზიარებენ მიღებულ პასუხებს, იღებენ მასწავლებლისგან განმავითარებელ შეფასებასა და უკუკავშირს.	საერთო საკლასო		5 წუთი
4	მასწავლებელი მინი ლექციაში საუბრობს კავკასიის რეგიონის მდებარეობასა და გეოგრაფიულ გარემოზე	საერთო საკლასო	დაფა, ცარცი.	5 წუთი

5	ტექსტისა და მსწავლებლის მიერ მინოდებული ვერბალური ინფორმაციის საფუძველზე მოსწავლეები პასუხობენ გაკვეთილის თანდართულ კითხვებს.	საკლასო ინდივიდუალური	მოსწავლის წიგნი, კალამი, რვეული.	10 წუთი
6	მასწავლებელი აჯამებს გაკვეთილს, აძლევს მოსწავლეებს განმავითარებელ შეფასებას და საშინაო დავალებად სთხოვს კონტურულ რუკაზე დაიტანონ კავკასიის რეგიონი.	საერთო საკლასო		5წუთი

**ტექსტსა და წყაროზე მუშაობის შეფასების რუბრიკა**

№	შფასების კრიტერიუმები	ქულა
1	მოსწავლე ტექსტის ანალიზს / თანდართულ კითხვებზე პასუხს წარმოადგენს მითითებულ დროში.	1
2	მიღებული პასუხები/ შედეგები პასუხობს ტექსტისა და კითხვის შინაარსს.	4
3	პასუხები / მოსაზრებები გამყარებულია არგუმენტებით.	4
4	ტექსტის გრამატიკული მხარე გამართულია.	1

DON'T COPY

1) **გაკვეთილის თემა:** ქართული სახელმწიფოებიდან საქართველოს სახელმწიფომდე გაკვეთილი

2) **გაკვეთილის მიზანი:** ა) გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები გაეცნობიან ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების ისტორიას.

3) **კავშირი ესგ. სტანდარტთან:საზ.მეც.დანყ.(II).6. მოსწავლეს შეუძლია:** ქვეყნის განვითარებისთვის ვაჭრობის, სხვა ტრადიციული და ამჟამინდელი პროფესიებისა და საქმიანობის მნიშვნელობისა და საჭიროების გააზრება; **საზ.მეც.დანყ.(II).1. მოსწავლეს შეუძლია:** ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ქრონოლოგიურ ქრილში გააზრება და გადმოცემა. მათი დაკავშირება თანამედროვე სოციალურ-კულტურულ გარემოსა და ისტორიულ მემკვიდრეობასთან.

4) **წინარე ცოდნა, რომელსაც უნდა ფლობდეს მოსწავლე:** ა) საქართველოს მდებარეობა და ზოგადი ცნობები, პირველი ქალტული პოლიტიკური ერთეულები. ბ) საქართველოს გაერთიანება.

	აქტივობა / მეთოდი	კლასისი ორგანიზების ფორმა	სასწავლო რე-სურსი	დრო
1	დასწრების აღრიცხვა, წინა საგაკვეთილო განწყობის შექმნა, გაკვეთილის მიზნის გაცნობა.			5 წუთი
2	მასწავლებლის მინი ლექცია, რომელშიც საუბარია ტომობრივ გაერთიანებებსა და მათ გარდაქმნაზე სახელმწიფოებად, ამ გარდაქმნის მიზეზებზე.	საერთო საკლასო		5 წუთი
3	მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გაიხსენონ, უძველესი ქართული პოლიტიკური ერთეულები (კოლხეთი, იბერია, მტკვარ-არაქსის კულტურა) და წერილობით დაასაბუთონ იყო თუ არა რომელიმე მათგანი ერთიანი ქართული სახელმწიფო? ვის სახელს უკავშირდება საქალთველოს გაერთიანება.	საკლასო ინდივიდუალური		10 წუთი
4	მოსწავლეები ეცნობიან ვახუშტი ბატონიშვილის მოღვაწეობის შესახებ ცნობას და მენყვილესთან ერთად პასუხობენ მასწავლებლის მიერ წინასწარ შემუშავებულ კითხვებზე.	წყვილებში მუშაობა	მოსწავლის წიგნი, რვეული კალამი.	10 წუთი
5	ტექსტისა და მასწავლებლის მიერ მინოდებული ვერბალური ინფორმაციის საფუძველზე მოსწავლეები პასუხობენ კითხვას : რა განსხვავება ტერმინებს - „ქართული სახელმწიფო“ და „საქართველეს სახელმწიფოს „-შორის?	წყვილებში მუშაობა	მოსწავლის წიგნი, კალამი, რვეული.	10 წუთი

